

# უდავო წარმოება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით

ავტორი: შოთა ბენდელიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამართლის სკოლაში მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ამირან მეშველიშვილი (სამართლის მაგისტრი)



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს. რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანოდო წესების შესაბამისად.

შოთა ბენდელიანი,

25.01.2016 წ.

## აბსტრაქტი

ნაშრომი უდავო წარმოების შესახებ მოიცავს სამ თავს. შესავალში განხილულია თუ რამდენად აქტუალურია უდავო წარმოება და რომელი იურიდიული დოკუმენტებით არის შესაძლებელი სამოქალაქო საქმეთა რეგულირება უდავო წარმოების წესებით.

**თავი I.** უდავო წარმოების სამართლებრივი რეგულირება სამოქალაქო სამართლის პროცესში, მისი არსი (ცნება), უდავო წარმოების დახასიათება, უდავო წარმოება ევროპის ქვეყნებში. აღნიშნული თავი შედგება სამი პარაგრაფისაგან.

უდავო წარმოების წესით განიხილება მოქალაქეთა და ორგანიზაციათა განცხადებები იმ ფაქტების დადგენის შესახებ, რომელზეც დამოკიდებულია დაინტერესებული პირის ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების წარმოშობა შეცვლა ან შეწყვეტა, ან უდავო უფლების დადასტურება. უდავო წარმოება \_ ეს ისეთი წარმოებაა რომელშიც არ არის დავა უფლებაზე, როა არ არის ერთი პირის მიერ მეორისადმი მიმართული მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა. უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეებში შეიძლება ადგილი ჰქონდეს დავას ფაქტის შესახებ, რამეთუ თუკი ფაქტებს არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა სხვა პირისათვის, მაშინ უაზრო, უსაგნო იქნებოდა ამ საქმეებში დაინტერესებული პირების მონაწილეობა.

უდავო წარმოების წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს; იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ, მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ, დაკარგულ საწარმდგენლო ფასიან ქალაქსა და საორდერო ფასიან ქალაქზე უფლების აღდგენის შესახებ (გამოწვევითი წარმოება), ქონების უპატრონო ცნობის შესახებ, შვილად აყვანის შესახებ და დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ.

უდავო წარმოება ითვალისწინებს კანონით მინიჭებულ უფლების დაცვის სპეციალურ საშუალებას. ამ საშუალებას წარმოადგენს განცხადება. აღნიშნული კატეგორიის საქმეთა აღძვრა ხდება არა კონკრეტული მოპასუხისადმი სარჩელის მიმართვით, არამედ განცხადების შეტანის გზით, რომელიც შეიცავს სასამართლოსადმი მიმართულ თხოვნას იურიდიული მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ გარემოების დადგენის ანდა უდავო უფლების დადასტურების შესახებ. მეორე

პარაგრაფში ფართოდაა განხილული ევროპის ქვეყნების სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, რომელიც ცალკე გამოჰყოფს უდავო წარმოების საქმეთა განსაზღვრულ კატეგორიებს. ევროპის ქვეყნების სამოქალაქო პროცესში უავო წარმოების საქმეთა მატერიალურ სამართლებრივი და პროცესუალური ბუნების შედარებითმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ ამ წარმოებას ყოველ ქვეყანაში განეკუთვნება სხვადასხვა საქმეები: საქმეები უფლებაზე დავის შესახებ, ასევე უდავო საქმეები, რომლებისთვისაც დამახასიათებელია განსაზღვრული მატერიალურ-სამართლებრივი თავისებურებანი. ნაშრომში განხილულია სხვადასხვა ქვეყნების მაგალითები.

**თავი II.** იურიდიული ფაქტები და უდავო წარმოების წესით განსახილველი ცალკეული კატეგორიის საქმეები.

**2.1.** ყურადღება გამახვილებულია ძირითადად იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენაზე.

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები – ეს ისეთი ფაქტებია (გარემოებები), რომელსაც კანონი უკავშირებს მოქალაქეთა და ორგანიზაციათა პირადი და ქონებრივი უფლებების წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას.

ისეთი ფაქტების დადგენა, რომლებიც არ იწვევენ სამართლებრივ შედეგებს ანუ ფაქტები, რომლებსაც არა აქვთ იურიდიული მნიშვნელობა, სასამართლოს ქვემდებარე არ არის.

**2.2** მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან გარდაცვლილად გამოცხადება მიმართულია იმ პირთა სამართლებრივი მდგომარეობის გაურკვევლობის აღმოსაფხვრელად, რომლებიც სამართლებრივი ურთიერთობით დაკავშირებულნი არიან უგზო-უკვლოდ დაკარგულთან. მაგალითად, უგზო-უკვლოდ დაკარგულის მეუღლეს შეუძლია დადგენილი წესით სარო-ს ორგანოებში დააყენოს საკითხი განქორწინების შესახებ. გარდაცვლილად გამოცხადებული პირის მეუღლეს შეუძლია სარო-ს ორგანოში მიიღოს მოწმობა ქორწინების შეწყვეტის შესახებ და ა. შ. მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადება გულისხმობს არა მარტო მის უგზო-უკვლოდ დაკარგვას, არამედ იმ გარემოებათა არსებობასაც, რომლებიც

იძლევიან საფუძველს, რომ მოქალაქე უკვე აღარ არის ცოცხალი (უბედური შემთხვევა, ავარია, სტიქიური უბედურება, საომარი მოქმედებანი და სხვა).

**2.3** დაკარგულ საწარმდგენლო ფასიან ქალაქსა და საორდერო ფასიან ქალაქზე უფლების აღდგენა. ეს საქმეები შეიძლება დაიყოს ორ სხვადასხვა კატეგორიად, რომელიც ერთმანეთისგან განსხვავდება, როგორც აღძვრის ისე განხილვის წესით:

ა) პირველ კატეგორიას შეადგენენ საქმეები, როდესაც დაკარგულია შემნახველი წიგნაკი ან მისი საკონტროლო ფურცელი ან ორივე ერთად. აღნიშნული დოკუმენტების დაკარგვის შემთხვევაში პირმა შეიძლება სასამართლოს მიმართოს თხოვნით დაკარგული დოკუმენტების ბათილად ცნობისა და დაკარგულ დოკუმენტებზე უფლების აღდგენის შესახებ. ფასიანი ქალაქის დაკარგვაში იგულისხმება მთლიანად მისი დაკარგვა ანდა მისი საგადამხდელო თვისებების დაკარგვა. ასეთ შემთხვევაში უფლების აღსადგენად განმცხადებელი მიმართავს სასამართლოს.

ბ) საქმეები უწყებრივად ქვემდებარე სასამართლოსადმი, თუმცა აქ სასამართლოში მიმართვის უფლება ექვემდებარება სპეციალურ წინაპირობას, რომლის არსიც მდგომარეობს იმაში, რომ განმცხადებელმა სასამართლოში მიმართვამდე საკრედიტო დაწესებულებაში უნდა გარკვიოს მის ხელთ არსებული დოკუმენტით, რომელიც გამოუსადეგარია, უფლების განხორციელების შესაძლებლობა. თუ საკრედიტო დაწესებულება უარს აცხადებს ასეთი მოქმედების განხორციელებაზე, მაშინ გამოიყენება უფლების აღდგენის სასამართლო წესი.

**2.4** ქონების უპატრონოდ ცნობა. უპატრონოა ნივთი, რომელსაც არ ჰყავს მესაკუთრე, ან რომლის მესაკუთრე არ არის ცნობილი, ან ნივთი, რომლის საკუთრების უფლებაზეც მესაკუთრემ უარი თქვა. ამ პარაგრაფში ფართოდ განხილულია ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ უდავო სამოქალაქო საპროცესო წარმოება.

**2.5** შვილად აყვანა. ნაშრომში განხილულია უდავო წარმოების წესით შვილად აყვანის და მოცემული საქმის განხილვაში მონაწილე სხვა პირთა უფლებების დაცვის სამართლებრივი გარანტიები.

**2.6** დაკარგული საქმის წარმოების აღდგენა. ნაშრომში განხილულია დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის წესი, მისი განხილვის წესი, საუბარია სასამართლოს განჩინებაზე დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ და აღდგენის შეუძლებლობაზე.

**თავი III.** უდავო წარმოებას განასხვავებს სასარჩელო წარმოებისაგან და კარგადაა დასაბუთებული სასარჩელო და უდავო წარმოების ერთმანეთისგან განმასხვავებელი ნიშნები.

## Abstract

The work about uncontested proceeding comprises three chapters. In the introduction of the work is discussed the actuality of uncontested proceeding and juridical documents which give us access to regulate civics.

Chapter 1: The juridical regulation of the uncontested proceeding in the process of Civil Law, its essence (concept), the description of uncontested proceeding; Uncontested proceedings in European countries; This chapter consists of three paragraphs.

By means of the uncontested proceeding is discussed citizens' and organizations' statements about the facts on which is depended a person's real and personal property, its origin, conversion and cessation or the confirmation of the uncontested proceedings.

By means of the uncontested proceeding a court conducts the cases; they are about the identification of juridical facts, about the declaration of missing citizens, their recognition of dead, their disability or capacity, about the restoration of rights of the debentures and order bills, about abandoned property, about adoption and abandoned children.

Uncontested proceeding provides the exceptional means of legal defence. This mean is an application. The initiations of such proceedings happen not only by the sue of the claimant but by the filing of an application to the court which includes a petition about the identification of different factors or the confirmation of uncontested proceeding.

Chapter 2: Juridical facts and the different cases done by means of uncontested proceedings.

2.1. Too much attention is paid to the establishment of juridical facts. Juridical facts-these are the facts (factors), which are connected to the citizens' and organizations' real and personal property, its origin, conversion and cessation.

2.2 The recognition of the missing citizen or the declaration of his or her death is related to cease the uncertainty of the citizens' who are illegally connected to the missings.

2.3 To restore the debentures and order bills. These cases can be divided into two different cases, which are different ones not only by the sue but also by the deliberation.

A)The first category includes the cases when there is lost a saving book or a data sheet or both. B) The cases subordinated by the court, but here, the court is subordinated by the assumption, which means that the applicant has to understand his or her possibility of enjoyment of property in a credit institution by means of documents which are invalid.

2.4 The recognition of abandoned property. The thing is abandoned which hasn't got an owner, or whose owner isn't known or the thing which as abandoned by the owner himself. In this paragraph it's widely discussed the proceedings of civil procedures about the abandoned property.

2.5 Lost process derivation restore.

Chapter 3: The differentia between contested and uncontested proceedings.